


# შოლტი

**№ 26**

ოპორტუნისტი—გიჟები ხომ არ არიან! ამ შუაზამთარში საგაზაფხულო თესვისთვის მზადება ვის გაუგონია?!

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук

# რომელი სხდომა უფრო ნაყოფიერია



აქეთ სხდომაა, ბიუროკრატებს
გადმოუგდიათ ენა ქებული...
აქეთ მხარესაც ხედავთ—სხდომაა,
სხედან ქათმები კვერცხ დადებული.

# საახალწლო გოზინაყები დაგვიანებით

### საბჭოებს

ამ ახალ წელში
ახლად მოხვედით...
და სულ წინ და წინ
უნდა იაროთ!..
კოლექტიური
შრომის ბარაქა,
სოფელში ყველგან
დაატრიალოთ!
იცით: 5 წლედის
მესამე წელი,
მოდის დევივით,
მოდის ძლიერი.
ამ წელში სოფელს
თქვენც უნდა მისცეთ—
სოციალისტურ
სოფლის იერი!
ყველგან სწავლება,
შრომა ფიცხელი,
როგორც ქალაქად
ქარხნებს ედება...
აღფრთოვანება
მშრომელ გლეხების,
შეჯიბრება და
შემოქმედება!

### არტელებს

თქვენ შრომა გიყვართ,
არ [illegible]რებათ...
იცით მინდორში
გაშლა რიგებათ..
მაგრამ მეტი რომ
იყოს ნაყოფი,
შრომას სჭირდება
მოწესრიგება.
მეტი სიმტკიცე!
ხელმძღვანელების
გონივრულად და
სწორად არჩევა...
სირცხვილი იმას,
და შერცხვენება,
ვინც ამ ბრძოლაში
უკან დარჩება!.
კულაკის სისინს
სწრაფად ლაგამი!
ფართოდ გაშალეთ
მინდვრად ხნულები!
კიდევ წევრები
მშრომელ გლეხთაგან
და მოისპობა
მტერი სრულებით!

### კულაკებს

აღარაფერი არ
გეშველებათ...
თქვენი ცხოვრება
მორჩა, სუნდება!
რაც იპარპაშეთ,
ისაც იკმარეთ...
ყვლეფის დრო მოკვდა,
არ დაბრუნდება!

### საშუალო გლეხებს

კულაკის ქოჩრებს
გვერდი აქციეთ,
წყალწაღებული
ხავსს ეჭიდება...
კოლექტიური
შრომა იმარჯვებს,
გულზე ცეცხლივით
რომ ეკიდება!
ღარიბ გლეხებთან
მტკიცე კავშირი
ხედავ ედება —
აგურს აგური!..
ცალკე წვალებას
როგორ არა სჯობს
შრომა საერთო,
ამხანაგური!

### სოფლის მასწავლებლებს

ეს ერთი დარტყმაც,
ერთი შეტევაც
და დამარცხდება
მტერი ძლიერი...
ისპობა ბნელი...
კვდება უკუნი,
სოფელს ეძლევა,
სულ სხვა იერი!..
დღეს თქვენი შრომა
კიდევ მძიმეა,
მაგრამ ეს საქმე
ხედავთ წინ არი!
ერთი შეტევაც
და მალე არსად
აღარ იქნება
უცოდინარი!

### სოფლის კოოპერატივებს

გვაკმარეთ პუდრი,
ოდეკოლონი,—
მეტი ნავთი და,
მეტი მარილი...
რა საქონელი
არ შეგვხვედრია,
ნათლიმამობით
გამოტანილი!

### შოლტკორებს

განაგრძეთ ბრძოლა
კალმის წვერებით.
დასცხეთ, ნურავის
მოეფერებით.
ჩქარ-ჩქარა გზავნეთ
„შოლტში" მასალა..
ჩვენთვის სარგო და
მტრისთვის სამსალა!
მოსცხეთ კულაკებს
და მათ მფარველებს,
ოპორტუნისტებს
ყველა ჯურისა!
არ დაგავიწყდეთ
კამპანიები:
ფრონტი სიმინდის,
ფრონტი პურისა!
სახსრების ზოგვა,
სწავლების საქმე.
საგაზაფხულო
თესვის მზადება.
სადაც კი რამე
ნაკლი შენიშნოთ,
მას „შოლტში" უნდა
გამოცხადება!
ფხიზლად... ერთგულად
კალმის წვერებით..
დასცხეთ ნურავის
მოეფერებით...

შოლტიანი.

### კაბინეთში

**ლაგოდეხის აგრონომი.** — ფუ, დასწყევლოს ღმერთმა, დავიწყებ თუ არა ენტუზიაზმით გეგმების შედგენას, სწორეთ მაშინ შემოდიან გლეხები გაზაფხულის თესვის კამპანიის შესახებ კითხვებით და ხელს მიშლიან.

# სასწრაფო ბარათი

ხვიმონა თათარაშვილს

სალამი ჩვენს დიდიხნის ნაცნობ-მეგობარს სვიმონას!

რამდენჯერ მინდოდა შენთან ჩამოსვლა... მითხრეს სოფელ ალევში როგორც მეფე ისე სცხოვრობსო, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოვახერხე...

რა ხანი გავიდა! მე იმის შემდეგ ხომ აღარ მინახავხარ, რაც მენშევიკობის დროს ახალგორის ერობის ხმოსანი იყავი. გახსოვს? ის საძაგელი ღარიბი გლეხუჭა ლექსო მაჭარაშვილი რომ მოაკვლევინე? ახია მისთვის... რა ებოლშევიკებოდა!

ეხლა გავიგე კაცო, კომპარტიის წევრი გამხდარხარ და ბურთი და მოედანი ისევ, ძველებურად შენს ხელში ყოფილა... ყოჩაღ, მართლა ყოჩაღ, გამჭრიახი და ჭკვიანი კაცი სწორედ ასეთი უნდა!

როგორ იყო სოფელ საშეფეთელი ერთი მოხუცი გლეხი ცოცხლად რომ ჩასვი ხაროში და ზევიდან მიწა მიაყარე?! თუ ბიჭია და კიდევ გაბედოს შენზე ხმის ამოღება!

სხვათა შორის აქ თბილისში ჩამოიტანეს შენ მიერ დაკლული ხარის ხორცი, რომელიც ფარულად მიჰყიდე შენს მეგობარ ჩარჩებს, სახდაზღვევიდან კი მთლიანად გამოიტანე ფული... ამ კომბინაციით შენ კაი თანხას გააკეთებდი და მერე მეზობლებზე ვაასესხებდი... ვინ გაბედავს ხმის ამოღებას!..

ძალიან კი მოატყუე მთავრობა, როცა სათესლედ მიღებულ ეერიდან გლეხებს არაყი გამოახდევინე და შემდეგ ერთი მამაპაპურად იქეიფე!..

მართლა, რაზე დამავიწყდებოდა! კოლექტივების ჩამოყალიბების დროს ღარიბ გლეხს კოლა თათარაშვილს 5 ვედრო ღვინო რომ ჩამოართვი და მთელ სოფელს დაალევინე, შემდეგ კი მას დაპატიმრებით ემუქრებოდი თუ ხმის ამოღებას გაბედავდა?!

კაცო, ის როგორღა მოახერხე, რომ 1929 წელს სოფელ კორინთის საბჭოს თავმჯდომარედ გასძვერი, სადაც მღვდლის მაგიერობას ეწეოდი სამღვთოს დაკვლის დროს და საკლავიდან პირველ შესაწირავს იღებდი, როგორც დიდი მორწმუნე კაცი...

არა, ძმაო!.. შენ სწორედ ჯადოქარი კაცი ყოფილხარ... და მართლაც ვინ გაგიბედავს ხმის ამოღებას?! გავიგე: ეხლაც თურმე სოფლად დადიხარ და გლეხობას აპურმარილებ, რომ საბჭოში აგირჩიონ... ალბათ თავმჯდომარეობა არ აგცდება—თუ ჩემმა წერილმა დროზე არ მოაღწია რაიაღმასკომამდე!...

მე ჩემი ვალი მოვიხადე... ამდენი ხნის შემდეგ მაინც მოგიგონე.. შენ თუ არ მომწერ წერილს, რაიკომი მაინც ალბათ გამაგებინებს შენს ამბავს..

შენი წითელკორელი ამხანაგი.

# გ ა ქ უ რ დ ე ს!



**გლეხი.** (მილიციელს)—ჩქარა, ჩქარა! მეშვიდე გვერდზე კოოპერატივს სძარცვავენ!

## კულაკების მფარველები

(სცენა კვალითში)

**1. გლეხი.** ჰო, და, მე როგორც ვამბობდი, აწაც ვამტკიცებ, რომ მასწავლებელი გრიშა ჭუმბაძე ცდილობდა შავხიელ ხანდრო ხუსკივაძის გათეთრებას...

**2 გლეხი.** „არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა!"

**გ. ჭუმბაძე.** არა, ამხანაგებო, მე იხე... ცუდი აზრით კი არა, მარა, ხომ იცით, ჩვილი გულის პატრონი ვარ და კიღამ შემაცდინა...

**ხ. ხუსკივაძე.** ნესტორ ჩემო, კი ბიტირებ ყოფას მაგიზა!

**1. გლეხი.** რაიო? შენ კიდონ აქანე ხარ? ამას არ უყურებთ?! რავა, კრების ჩაშლა გინდა, თუ?

**ხმები** გააგდეთ აქიდან!

**ხ. ხუსკივაძე.** ჰმ! მე კი წავალ, მარა... ნავხოთ... აპა, გრიშა, შენ იცი...

**გ. ჭუმბაძე.** წაი... მაი მე ვიცი...

**1 გლეხი.** ჰო, და... აგერა ჩემი ბობოლა მეზობელი ხუსკივაძე, კულაკების აგენტი არქ. ხუსკივაძე და პ. ბოჭორიშვილი რომ ამბობენ: ჩვენ თქვენ შერჩეულ ხალხს არ ვღებულობთ საბჭოში გასაყვანად, ჩვენ ვინც გვინდა იგი უნდა გევიყვანოთო, ვინ კითხავს მაგენს?!

**პ. ბოჭორიშვილი.** ჰმ! მაგას ერთი ჩახაფრება, და... მარა, არქიფო, ხუ...

**თავმჯდომარე.** სიჩუმე, აფხანიკებო! მაგი აფერია მარა, აგი ყოფილა ხუცები—კ. ხუსკივაძე, ლ. ჭანკვეტაძე და ბერიკაშვილი რომ დააჩენენ პირს და პრავაკაციას ეწევიან კოლექტივის წინაამღდეგ, რაი ვუყოთ?

**2. გლეხი.** რაი და პანღური!

**ქ. ხუსკივაძე.** თფუი, სატანის კერძო!

**2. გლეხი.** მაი წვერის გაკრეჭა კი არ გიშველის!

**1. გლეხი.** მაგენი ნახუცრებია, რაი გაემტყუნება, მარა, თუ თვით კრიტიკაა, ბარემ იყოს, სიჩუმე არ შეიძლება როცა პარტუჯრედის მდივანი შ. ბირბიჩაძე კულაკებიზა ზრუნავს, ქ. ჯანაშიას წელს ნუ დავბეგრავთ, ცოდვა არისო, აგი რაია თუ არა მარჯვენა ოპორტუნის გადაჭანჯალება? ა? ანდა აგი ვითომც კომკავშირელები: იაშა და ივანე მარაქველიძენი, ბიჭიკო და შალიკო მუმლაძენი აქამდე კოლექტივში რომ არ შემოდიან და თან ამბობენ რა საჭიროა კულაკების წინააღმდეგ მუშაობა, როცა ჩვენში არ არიან ივინიო, ა? რავა არ არიან ბოშო, მარა მაგენიც ეტყობა მარჯვნით გადახრის მარცხენა გადმოხრაია ალბად. ან „მომემარცხენო" - მომემარჯვენე ბი..ოკი...

**თავმჯდომარე.** ბოლოკი კი არა, ბლოკი...

**1. გლეხი.** მაი სულერთია, მაგათაც თავის მაგიერ ბოლოკი არ აბიათ?—გარედან წითელი, შიდ თეთრი...

ამბა!

# ჩემი შენ გითხარო

## გული მოგიკალო

სოფელ იფნიანში არტელის გამგეობის ახალი არჩევნები იყო.

ეს ამბავი წინასწარ აცნობეს არტელის ყველა წევრს და შეუთვალეს ყველა უკლებლივ დასწრებოდა არჩევნებს. შეუთვალეს აგრეთვე ამავე არტელის წევრს ბესო ბენაშვილს.

— რა იხრიობს მინდა, რომ დავესწრო?! აქამდის მე ვინ რას მკითხავდა?! ეხლა დასჭირდათ ჩემი თავი, რომ ხმა მივცე და ხელმეორეთ გამგეობაში აირჩიონ მცონარა და უქნარა ხალხი!? ვერ მივართვი! ისეთ დღეს დავაყენებ კრებაზე, რომ სირცხვილით თავს გაიღეთ ველარ გამოყონ... ასეთი მუქარით გაემართა ბესო კრებაზე.

შუადღე მოტანებული იყო, როცა კრება გაიხსნა.

— ამხანაგებო,—დაიწყო არტელის თავმჯდომარემ,— მე დიდხანს ლაპარაკით თავს არ მოგაწყენთ, მოკლეთ მოგახსენებთ ჩვენს მიხწევებზე და ნაკლზე...

— ეგ ლათაიები ჩვენთან არ გაგივა!—მიაძახა ბესომ.

მომხსენებელს ყურადღება არ მიუქცევია ბესოსათვის, განაგრძობდა მოხსენებას და როცა დაამთავრა, ყველამ, მოწონების ნიშნად, ტაში დაუკრა.

სიტყვა ითხოვა ბესო ბენაშვილმა.

— ვის უკრავთ ტაშს, რისთვის, რა გააკეთა, ვის რა მოლაშო დასდო?! გამგეობა მხოლოდ თავისათვის ზრუნავდა და არტელის საქმეები კი ფეხებზე ეკიდა...

— მართალია, მართალი!—მიაძახა თითო-ოროლამ აქეთ-იქიდან,—აღარ გვინდა ძველი თავმჯდომარე, ბესო ბენაშვილი გვიადა!

ბესო ამით უფრო გათამამდა და განაგრძო:

— პასუხისგებაში მისაცემია მთელი გამგეობა ასეთი უმოქმედობისათვის, მაგრამ არა მარტო გამგეობა, პასუხისგებაში უნდა მიეცეს აგრეთვე სარევიზიო კომისია, რომელსაც, როგორც დღეს გამოირკვა, ერთხელაც არ შეუმოწმებია არტელის მუშაობა.

— კაცო, ვილაზე ლაპარაკობ, შენ თვითონ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ხარ!—მიაძახა არტელის ერთ-ერთმა წევრმა.

ბესო ბენაშვილი გაშრა, გაოშრა, თითქოს მეხი დაეცაო. მხოლოდ ეხლა მოაგონდა, რომ ის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე იყო, დარცხვენილმა თავი ჩაღუნა და უკანა კარებიდან გაიპარა.

ისარი.

# ჩამორჩენილი ივანე

სოფელ წიფლიანის მშრომელი გლეხობა საბჭოს ახალი არჩევნებისათვის ემზადებოდა.

არჩევნებისათვის ემზადებოდა აგრეთვე ამავე სოფლის კულაკი მიხა ცხოვრებაშვილი, რომელსაც ხმის უფლება არ ჰქონდა წართმეული თავისი სიძის წყალობით, რომელიც რაიონის პასუხისმგებელ მუშაკად ითვლება.

მიხა ცხოვრებაშვილის მიზანი იყო, რომ როგორმე გამძვრალიყო საბჭოში, ამისათვის მან ასეთ ხერხს მიმართა: დაუძახა თავის ღარიბ მეზობელ გლეხს ივანე ნასყიდაშვილს, რამდენიმე ჩაის ჭიქა ღვინო გადააკვრევინა და როდესაც კარგათ შეაზარხოშა, უთხრა:

— ხვალ არჩევნებია, ჩემო ივანე და აბა, შენ იცი, ყოჩაღათ იყავ...

— მე ვინ რასა მკითხავს, შენი ჭირიმე, ან რა ჩემი საქმეა, იქ რა მინდა. იქ შენისთანა გავლენიანი კაცი უნდა წავიდეს, რომ ყველამ ანგარიში გაუწიოს.

— მეც ვიქნები, მაგრამ შენც უეჭველად უნდა წამოხვიდე და როცა არჩევნებზე მიდგება საქმე, მე დამასახელო.

— კარგი, შენი ჭირიმე, ეგ ადვილი სამსახურია, მაგრამ რა ჩემი დასახელება გინდა, განა ისე კი არ აგირჩევენ?!

მეორე დღეს დაიწყო არჩევნები. მიხაც და ივანეც იქ იყვნენ.

დაასახელეს საბჭოს ახალი წევრები. ივანე ნასყიდაშვილმაც დაასახელა მიხა ცხოვრებაშვილი.

— არ გვინდა მიხა ცხოვრებაშვილი, არა, მდიდარია და მდიდრების საქმეს გააკეთებს!—მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— რა ვუყოთ, რომ მდიდარია, —სცადა ივანემ გამოქომაგება,— მდიდარი თუა, ჩვენთვის უფრო უკეთესი. მაშ ჩემსავით ღარიბ-ლატაკებს რომ ასახელებთ, რა უნდა გაგვიკეთონ მაგათ, ან სასოფლო ფული რომ შეჭამონ, რა აქვთ, რას აუწერთ და რას გაუყიდით, მიხას კი ცხვარიცა ჰყავს, საქონელიც, მშვენიერი ვენახი აქვს და კარგი სახლ-კარი. წელან აქ ვიღაც ამბობდა, რომაო საბჭოში საიმედო ხალხი უნდა ავირჩიოთო. მიხა ცხოვრებაშვილზე საიმედო ჩვენს სოფელში სხვა არავინ არის, მაგას იმოდენა ქონება აქვს, რომ მთელ სოფელს იყიდის და გაჰყიდის.

მიხა ცხოვრებაშვილი მაინც გააშავეს, რამაც ძალიან გააკვირვა ივანე.

— გადაირია ე ხალხი, თუ რა მოუვიდა,—უთხრა სახლში მისვლისას თავის ცოლს,—ჩემსავით ღარიბ-ლატაკებს საიმედო ხალხათა სთვლიან, ჩვენს მიხას კი არა...

ხადგიხი.

# პაცი რევოლვერით

— კაია, ძამია, ეგი ჩვენი ნადიაკვნარი სეზისკვერაძე ბედნიერი! ძველად იყო სეზისკვერი არ აკლდა სხვაი.. აწია და...

— რავა?

— რავა, და... მაგან კი უნდა თქვას —შვილი გამომივიდაო... ეგერა, ფერო-მარგანეცის ქარხნის ტრანსპორტის გამგეთ რომ გაკრეჭილი ხუცესი ჭუმბურიძეა...

— მერე?

— მერე და იგი, რომე, ძველად მამა ყავდა ეკლესიაში ხელქვეითად, აწი კი მისი შვილი... იგიც მამასავით გამოჭრილია.. ბოშო, გეიგე?

— რაი?

— კომკავშირშიც ქე გამძვრალა! აბაა! მარა, გამოუპანღურებიათ... მერე და არ იტყვი, რაი უქნია? პარტკანდიდატის ბილეთი უშოვია, და... ლოთი, ხულიგანი, შრომის დეზერტირი; სამუშაოს აცდენს და ეტლით დღიარება საქეიფოდ, მთელი კვირეებით იგვიანებს სამსახურში. საყვედური ქე გამოუცხადეს, გაზეთშიაც კი გაწერეს, მარა ფიტ! ფეხებზე კიდია ყოლიფერი! ჯიბეში ბილეთი, თავში მწყრები, გვერდზე ლიველი და, ბიჭო ხარ, ეტყვი რაინეს თუ? ეგერა, გუშინაც აწია მუშკორობაში შენიშნულ მუშაზე: როგორ მიბედავთ გაზეთში გაწერას, ტყვია და შენი ჯანიო! კიდო კაია რომ დიდებულიძემ, ფარულიძემ და ჩვენ შევაკავეთ, თვარა, შენი მტერია, მიზანში ამოღებულს ქინე გააცხებინებდა სულს..

— ეჰ, რას იზამ! ალბად გასდის, და!

— გუღვა?! ვნახოთ!

აში.

# ლანჩხუთის გლეხის სახლში



სიცივისაგან გათოშილ გლეხს გასათბობად ბუხარში უკეთებენ.

# ათას ცხრაას ოცდა თერთმეტ წელს

5 წლედის მესამე წელო,
მოდიხარ გვრგვინვით, ზანზარით.
თან მოაქვს აღმშენებლობა
დიდ და უზარმაზარი.
ქარხნები—რკინის დევები,
საბჭოთა ქვეყნის შვენება...
(თუმც არ მინდოდა ამ ლექსში
ცნობილ ქოფაკის ხსენება).
პუანკარე რომ გაიგებს
ხომ აღარ მოესვენება...
ყველგან მშრომელთა ყიჟინა,
შრომა, დარტყმა და შენება.
მთლად შეიშლება ჭკუიდან—
ძილში რომ მოეჩვენება!
ჰო და მოდიხარ დევივით —
შეუდრეკელი, მაგარი...
მუშათა კლასის ძლიერი,
ნარგვევენით ნაამაგარი!
5 წლედს შენ აძლევ სიმკვეთრეს,
შენა ხარ მისი პირობა.

შემოგცქერიან მსოფლიო
ქვეყნების სანაპიროდან —
შენი ერთგული მცველები,
მშრომელთა მილიონები...
საომრად ირაზმებიან
დღემდის ტანჯული მონები.
ჩვენი სოფელიც წინ გვხვდება
მოლხენილად და მზიურად.
ხედავ გულდაგულ ჩაბმულა,
შრომაში კოლექტიურად.
ღირღიტა გადაუგდია
და კავსახნისით ნაბარი.
ყველგან ტრაქტორი გუგუნებს
გაცოცხლებულა მთა-ბარი!
მოდიხარ, მოგიხარიან,
ჩვენც გხვდებით ღია გულებით;
ქალაქში გრდემლის გუგუნით,
სოფლად გაშლილი ხნულებით.
მარტო კულაკი შხამს ანთხევს,
გვხვდება გესლიან სისინით,

მაგრამ ხარ შეუდრეკელი,
რას დაგაკლებენ ისინი?!
გასრეს და გაანიავებ,
ასეა შენი პირობა...
ამის ბრალია გუშინ რომ
ოპორტუნისტი ტიროდა...
ელოდებოდა კულაკი,
თავის ერთგული ძმობილი..
მაგრამ პარტია წინ დახვდა
ბრძოლაში გამოწრთობილი...
და უკუაგდო სუყველა
მშიშარა, ეჭვის მთესავი
და გზა დასახა ხვალისა—
ათელი შეუდრეკსავით!
აი ამ გზაზე მივდივართ,
შრომის გრგვინვით და ზანზარით
წინ გველის გამარჯვებები
დიადი, უზარმაზარი!

ნიკოლა.

# სოფელი ბოყვა

გოცირიძე გმირთა გმირო ვაჟკაცო,
როგორა ხარ: გეკითხები ვაჟკაცო
„ახალ შრომა"-ს თავმჯდომარედ ყოფილხარ,
კოლექტივის წევრებს თავს დაჯდომიხარ!

— : —

მანდ. გავიგე მიწა ბლომად მოგიხნავს,
მუშაობით ლამის ხალხი მოგკლავს...
უთესლობით დარჩა დაუთესავი,
ვაშა, გმირო, ვაჟკაცობაც ეს არი!..

— : —

თურმე ბიჭო, პროტექციაც გცოდნია,
და ლავროსთან მძლე კავშირიც გქონია,
დაუბრუნე უკან ისევ ბედელი,
გმირი ხარ და შენგან მეტსაც მე ველი!..

— : —

ოთხი სული ხარი გაგიყიდია,
შენ არტელი თუ, ფეხებზე გკიდია?...
ამ ფულებით ჯიბე გაგიტენია,
გაფლანგვაში „პიატი" გიწერია...

— : —

დაუტაქეს ჩამოართვი ხარები
და საწყალ გლეხს თან დასტყუე ფარები...
რაიკავშირს არ უჯერებ არაფერს,
მას ვინ კითხავს თუ გლეხს რამეს; წაართმევ!

— : —

გლეხებისგან პური გისესხებია,
დაბრუნება აღარ გეხსენება,
თუმცა მას უკან გადის დიდი ხანია,
მაგრამ მათვის ვიცი, რომ არ გცალია.

— : —

ის დრო სჯობდა, როდესაც მეღდლად იყავი,
გარს გეხვია მრევლი, როგორც ჭიღვაყვი...
ალბათ წერი დაგიშლიდა ძროშამა,
გაიკრიჭე და დასწყვიტე „შრომაშ"...

როზგი.

# დაწინაურება

— გამარჯვება, შენი ამხანაგო!
— გაგიმარჯოს!
— ეს სოფელი მგონი ქიმისხევია არა?
— დიახ, შენი ჭირიმე, ქიმისხევია.
— აქ სად ცხოვრობს თქვენი კოოპერატივის ნოქარი სანდრო ელიგულაშვილი?
— ის ჩვენს სოფელში აღარ არის.
— მაშ სად არის?
— დაწინაურდა, სარაიონო „ეპო"-ში გადაიყვანეს.
— როგორ არ იცნობდით, რომ ის ბოროტმოქმედი და გამფლანგველი იყო, რატომ დაიწინაურეთ.
— როგორ არ ვიცოდით... ვიცოდით და ჩვენც იმიტომ ვითხოვეთ მისი დაწინაურება და რაიონში გადაყვანა, რომ ჩვენი კოოპერატივი გადაგვერჩინა დაღუპვისაგან.

ნემსი.

# სიზმრის ახსნა

აბანოს ნახვა კარგია — სურების ალმასკომის თეთრი საქმე და შავი საქმე გამოჩნდება.

სიზმარში თვალზე ბინდი გადაგეკრას — ახმეტის კოოპერატიული სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთ აგირჩევენ.

მერევის ალმასკომის თავმჯდომარე ნახო ფხიზელი — იმ დღის სიზმარი არ აგიცხადდება.

აგრონომი ვაშაყმაძე ნახო სოფელში — კიდელს ჩხირი გაურჭე.

გურჯაანის წითელ სასადილოში თუ ისადილო — გულის რევა დაგემართოთ.

სიზმარში ფულის ნახვა ცუდია — ქრთამის მიცემა დაგეპირდება ხოტაანის ტყის მცველისათვის.

ობჩილი ალმასკომის თავმჯდომარე ნახო — თუ კულაკი ხარ, სიღარიბის მოწმობას მიიღებ.

# საგარეჯო

მაშინ, როდესაც ქარი ღმუოდა,
მაშინ, როდესაც მთები დანისლა,
შეთხევეტით მოვხედე საგარეჯოში
და ვინახულე არტელი „წინსვლა".
სამი წელია მას უკან თურმე,
რაც ეს არტელი დაარსებულა
და წინ მსვლელობის ტემპი არა სჩანს,
ერთ წერტილიდან ვეღარ დაძრულა.
მაშინ, როდესაც სხვა არტელებში

გაჩაღებულა შრომა გმირული,
როცა ტრაქტორი მიანგრევს მიწას,
ბორგავს მანქანა თავგანწირული.
არტელი „წინსვლა" ცხოვრების ტემპებს
იქ სამარცხვინოდ ჩამორჩენია
და თავმჯდომარე მარიხიშვილი,
არ დარდობს, შეხეთ, არც კი რცხვენია!

ლახტი.

# კულაკების დამქაშები

ვინ არ იცნობს ვეგინზე
ჩვენი ბინის გამცემს,
მუშკრებულებს მოუხსენებს, —
მღერის სულ სხვა ჰანგებს.
იგი „დიდი" კაცი გახლავთ,
მონაოლიდა სპეცად,
თუმცა ხშირად გვეცლინება

უსინდისო ბიჭად.
არსად გამოჩნდება
კაცი ამგვარ ტიპის.
ტკბილი ღვინის უალბა უყვარს
მოუცერპოდ ტოფის...
სხვა რა უნდა გაგვეთქვა,
ოდეს არის ლეში?
ის დასცინის და არა სწამს

5 წლედი — ოთხ წელში!
აბინება, იღრინება,
კულაკების ფარიან.
არ იცნობს არც ერთი როის
და არც მათ ბინის ფარის
ჩვენს მოწინავეს წლედს
და ვინ დაიზარებს?!

კოლალა.

# „იცით ვინა ვარ?!"

— იცით ვინა ვარ?—დაიწყო ძალზედ გალეშილმა ვაზის უბნის (სამტრედიის რაიონი) საბჭოთა მეურნეობის გამგემ გ. ძნელაძემ,—ჩემისთანა კაცი საქართველოს ისტორიაში მეორე თუ მოიძებნება, ეს არის „სურამის ციხეში" აწერილი მებატონე.

რით განსხვავდებით, აბა მითხარით მე და ის მებატონე ერმთანეთისაგან? მებატონემ ოსმანალის მშობლები შეაბა კალოში და პური ალეწინა. მე კი უფრო მეტი ჩავიდინე: 1928 წელში ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში მაველის მუშები რაფიელ ლორია და დათიკო ვაშალომიძე შევაბი რკინის ფარცხში ხარების მაგიერ და მთელი დღე ვამუშავე. ამ ამბავმა მთელი მუშები აღაშფოთა, მაგრამ რის ძნელაძე ვარ თუ სიძნელეებს თავი არ დავაღწიე.

— აი ყოჩაღ, ყოჩაღ აგრე უნდა მაშ!—დაუდასტურა მას კომპანიამ ერთხმად.

— ეგ რა არის, მუშა ქალი, პისტი ჯიბუტი 7 დღეს ვამუშავე, მერე არ მომეწონა, რადგან არ იყო ლამაზი, დავითხოვე და ხელფასიც არ მიმიცია. ჩემი სიმამრი ბ. ელენტი კი მეურნეობაში „თბილად" მოვაწყვე, ორი თვის ხელფასი გამოვუწერე.

— აუცილებელია, თუ შენს ნათესავს არ შეინახავ, სხვას სულ ვერ შეინახავ,—დაუდასტურა მოადგილემ.

— ეგ რა არის, ეხლა რომ ამბავს მოგიყვებით სიცილით დაიხოცებით და მანამ მოვყვებოდე ცივი ტილო შემოიფინეთ მუცლებზე, რომ გული არ შეგიწუხდეთ.

— აბა, აბა მოყევი შენ გენაცვალი მარიფათში,—შესძახა კომპანიამ.

— ერთ დღეს სამტრედიის რაიმიწატყის კავშირის ბრიგადა მოვიდა ჩემთან. მე არც კი ვიცოდი ან კავშირი, ან ბრიგადა თუ სადმე არსებობდა, მეკითხებიან: „საწარმოო-საფინანსო გეგმა თუ გაქვთ შედგენილი გვაჩვენეთ".

მაშ რის ძნელაძე ვარ, თუ თავს არ ვიხსნიდი იმ ლაწირაკებისაგან. უთხარი საწარმოო-საფინანსო გეგმა ინახება ვარციხის მამულის ბუღალტერ ქველაშვილთან მეთქი.

ის სულელებიც დარწმუნდენ და თავიდან მომშორდენ.

მე საწარმოო-საფინანსო გეგმა ასე მესმის: „წარმოება ფეხებზე მკიდია და ფინანსებს კი ვენაცვალე სულში". ფინანსები რომ არ მქონდეს ვერც ასე ვიქეიფებდით ეხლა...

ასე ბაქი-ბუქობდა ძნელაძე, იმ დროს როცა ეს სტრიქონები იწერებოდა. ვნახოთ მისი კვენა რით დასრულდება!

კაკუნია მიშა.

# მგელიკა მგელაძე ბაკურიანის ტყეში

— ვიცი ვინც მიქნა ეს; მგელაძე არ ვყოფილვარ, თუ არ ვანანო!— იყვირა სადგურ „საკოჭაოს" უფროსმა მგელაძემ, სადაც ის თავისუფლად კოჭობს.

ტყემ უპით უპასუხა.

— კი, მარა, იქნებ იგი არაა?—ეუბნება რომელიღაც დამსწრე.

— რავა არა, იგია და ბოლში ნიჩავო! მე თუ მიზანში ამოვიღე, ზნაჩიტ იგია! მარა, მე ვაჩვენებ მას მუშკორ-გლეხკორობას! თუ მგელაძე ვყოფილვარ, ვაჩვენებ სეირას ვაჩეიშვილს! იმის მეტმა აბა ვინ უნდა გაბედოს?! მის მეტმა ვინ იცოდა, რომ ძროხები.. გლეხუჯას ქალს ვუკეთებდი ექსპლოატაციას... იგი აქარბებს წერილში... რავა, მე, ძველი რკინისგზელი მუშა, მასთე მოვიქცევი?! გამიშვით!!! და ამ სიტყვებთან ერთად გასწია პატიოსან მუშა მ. ვაჩეიშვილის ოთახისაკენ...

— კი, მართალია, ვწერ გაზეთებში, მაგრამ ეგ ამბავი მერ არ დამიწერია.—ეუბნება ვაჩეიშვილი.

— მაგი ვსერავენოა! ვინცხაა, იგიც შენი აფხანიკი იქნება ალბად!—და რკინისგზელ მუშას ოთახიდან ბარგი გადმოუყარა, გამოაგდო, დაითხოვა...

— მართალია ყოლიფერი, მარა უსათუოდ უნდა გამწერო? ვერ უნდა დაფარო კაცი?! წაი, სადაც შენი თქვა, აქაც ჩემი! ასეთი ვარ მგელაძე!!!

— ემ!—რაღა ეთქვა ვაჩეიშვილს?!

მის მაგიერ ალბად პროკურატურა იტყვის...

ოქაური.

# ღია ბარათი

**სამტრედიის რაიკოლმეურნეობათა კავშირს**

გავიგეთ, რომ თქვენს დაწესებულებაში მოგითაღლებიათ სახელგამის სამმართველოდან გამობრძანებული (ჩვენებურათ ჯამოპანღურებული) ალექსანდრე ლორთქიფანიძე. ამ კაცისათვის როგორც „სპეცისთვის“ დაგინიშნიათ 300 მან. თვეში. თქვენ ეს ამბავი ახსენით იმით, რომ ალექსანდრემ თავმდაბლობა გამოიჩინა და „თავისი ფეხით გა[illegible] სამტრედიაში“.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ის კი ბევრი ვერაფერი იყო, რომ ნაცვლად ნათხოვნი გადმოსასვლელის 315 მანეთისა, მას მიეცით 3148. 98 კ. თქვენ ხომ ძველი ბაჰურები არ იყავით, რომ 2 კაპეიკი დაგენანათ ალექსანდრესათვის.

დეფიციტიანი საქონელი სოფლის ნაწარმოების ჩამბარებელი გლეხებისათვის გზურდათ და ალექსანდრეს კი ბლომათ გამოქონდა (ალბათ კერძო ბაზარზე გასაყიდათ)!

„მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“ ალექსანდრემ სიტყვით კი არა, საქმით შეასრულა. მან დეფიციტიან საქონლის ზიდვაში გაიამხანაგა თქვენი ინსტრუქტორი მელქაძე.

ფულადი სახსრების „მობილიზაციას“ ხომ ხელს უწყობდით! არ ენდეთ ბანკს ფულის გადაგზავნა, გაატანეთ ალექსანდრეს — 5000 მანეთი ხელზე, რომლიდანაც 3200 მან. ერთბაშად მის გაუმაძღარ მუცელში აღმოჩნდა.

ეხლა ალექსანდრე ზის გამსახლში და ფიქრობს მაინც ძაან მოვასწარი ამ ფულის შეჭმა, ეხლა რაც უნდა ის მიყონ, მაგრამ რაიკოლმეურნეობათა კავშირიდან კანონით ერთი ორი თან უნდა გამომყოლოდა და ნეტა რატომ იგვიანებენ აქნობამდე?!

ეხ, მეც გაცდენთ... ვინ იცის რამდენი ხალხი გელით! (თუმცა გამოტეხით უნდა ვთქვა, სამჯერ მოვედი თქვენს დაწესებულებაში და ვერც ერთხელ ვერ გნახეთ, თურმე დარაჯიც კი გაგიბიუროკრატებიათ.) ჩვენ ამით ვათავებთ...

ალბათ მუშგლეხინი ჩაიგდებს ამ წერილს და შესაფერის ალაგს გაუჩინებთ..

თქვენი უპატიური კალია შრიშინაშვილი.

# ს ა რ დ ა ფ შ ი




**პირველი გლეხი** (მეორეს) — ეს ხალხი მართლა გადარეულია, ერთს პლაკატზე სწერენ, ღვინო საწამლავიაო და მეორეზე კი ღვინის სმას

# ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი

სოფელ შვინდიანის არტელის სარევიზიო კომისიის არჩევის დროს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სანდო წევრების შერჩევას.

**გაზეთებიდან.**

— რატომ აძლევ ხმას გიორგი მახვილაძეს, ეგ ხომ გაფლანგვისათვის ორჯერ იყო დაპატიმრებული?

— მერე რა არის, — ხაზინადრათ ხომ არ ვირჩევთ, სარევიზიო კომისიაში ვირჩევთ.

# წერილი ამხ. შოლტიანს

ულრმეს მადლობას გიცხადებ ამხ. შოლტიანო იმიტომ, რომ შენგან ვიქეცი მე კაცად და დღეს თუ ასეთი დიდი თანამდებობა მიკავია მხოლოდ და მხოლოდ შენის წყალობით.

მე პირველად ქოხ-სამკითხველოს გამგე ვიყავ, როდესაც „შოლტი“-ს ფურცლებზე მოვხვდი და შენ სასტიკად მოითხოვდი ჩემს დასჯას. მე ამის შემდეგ ალმასკომის მდივნათ გადამიყვანეს. მერე რომ გამწერე ქრთამისათვის — საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეთ დამნიშნეს, მესამეთაც რომ ჩამაგდე მაგ დალოცვილ ჟურნალში — კოოპერატივის თავმჯდომარეთ დამნიშნეს, ხოლო ეხლა მეოთხეთ გინებებია ჩემი საქმეების ჟურნალში გამომჟღავნება და მეც ველი ახალსა და უკეთეს თანამდებობას.

მადლობელი ვარ ამდენი სიკეთისათვის და გთხოვ შემდეგშიც არ მომაკლო შენი ყურადღება და მოწყალება.

სალამით სოფ. ვერხვის კოოპერატივის თავმჯდომარე ნიკო ხვედელიძე.

ზრ.

# მრუდე სარკეში

ო, თურმე რა არ ხდება
ლამაზ სოფელ ეკაში!
ბევრია, კულაკის წინ
ცნობილი მუხლთ დრეკაში!—
(პარტიაც ყოჩაღია
ასეთი გარეღ რეკვაში!)
კალისტრატ აფხაზავას
აბა ვით შეეხები?!
ისიდორ ადამიაც—
მიჰყვა თავის ფეხებით...
პარტიაში რა უხდა—
ვინც ატყუა გლეხები?!

ზემო-თელეთის საბჭოს
თავმჯდომარე არ ვარგა...
ვეღარც მდივანს შევაქებთ,
ორივე გვაწვა ბარგად!
ასეთ უქნარობისთვის
გულდა-ნაბადი უკრეს...
(„სად თქვენი თქვათ—იქ ჩვენაც!“
პანღურით ასე უთხრეს!..).

ჩოხატაურს, რაიკავშირს
კარგად ვერა აქვს საქმე!
(თავმჯდომარე ზაქარეიშვილს
მარტო არ გაცნობთ აქ მე!..)
ძისი „სიბრძნე“?—ისმინეთ!—
წოლმის მაგიერ, შელმა...
„დარაჯმა რად იცოდეს
აქ საწარმოო გეგმა:!?
აი რა აზრის არის—
და ეს კაცი აქ „თაობს!“
ვერაფრით გამოუძვრა
ოპორტუნიზმის ჭაობს!...

სოფელ უფლის ციხესა
სიბნელე დასწოლია..
კულტურისკენ ილტვის, და
პატრონი არ ჰყოლია?!

ბაღდადს, ზოგ მასწავლებელს
სწავლა ფეხზე ჰკიდია!
სცდებიან მოწაფენი,
დღენი უქმად მიდიან!..

ჩარჩი ვანო სანაძე
(დიდ ახალსოფელშია.)
როგორც უნდა პარპაშებს—
გლეხებს უჭერს ყელშია!
(სოფლის მესვეურნი კი
„ვერ იგდებენ ხელშია?!“.

სოფელ ჩალაუბნის შეფს:
რკინის გზის კლუბსა სძინავს...(
კულტურული მუშაობა
აქ ამიტომ ვერ ბრწყინავს!..

სოფელ დიდიფონისაც
საქმე არეულია...
წინსვლა მას რომ არ უჩანს
ვისი დაწყეულია?!
არც კოოპერატივი—
და არც ქოხსამკითხველო?!
ო, ნუგეში შენ მაინც
ეცი „შოლტის“ მკითხველო!

**ტარზან.**

# ანგარიშში მოტყუვდა



მილიციელი. (გლეხს)—შენ გიჟი ხომ არა ხარ! ეგ კოოპერატივის ნოქარია, მუშაობა დასრულებული სახლისკენ მიდის!

## ერობა მოაგონდა

(ბორჯომის საკასრე ქარხანაში)

**1 მუშა.** არიქა! ქარხანას ცეცხლი მოედო! წყალი! მალე!

**2 მუშა.** სად არიან მეხანძრენი? რაზმის უფროსს შ. ავალიანს შეატყობინეთ, ან მის თანაშემწე ტ. კაპანაძეს..

**3. მუშა.** სად უნდა ეძებო, რომელ რესტორანში, არ იცით ხუხვის პარტიის წევრებია? მარა, აგერ არ მობარბაცებს კაპანაძე?

**კაპანაძე.** ა? ხანძარია?! მერე და უჩემოდ ბედავთ, თქვე ლაწირაკებო, ჩაქრობას?! შენ ეი! ვინა გგონივარ მე?! ა: აქ რაღაც თვით კრიტიკა და მუშკორ-კედლკორობას არავის ვაპატიებ! ჰმ! აბა ასე 1919 წელს გაგებედათ, როცა ერობის თავმჯდომარე ვიყავი და წელზე ფიშტო მეკიდა! აი ესეც შენ!

**გოგიჩაიშვილი.** მერე და, რაღას იცემები? მოპარვით ძალიან ვაჟკაცი ყოფილხარ, მარა, კი გაგიყენებთ იმავე გზას, საითაც ერობის დროის ბატონები ავბარგეთ!

**კაპანაძე.** ა? ჰმ! არა, ეს ისე, ამხ... ღვინო... დღეს ხომ 7 ნოემბერია, ჩვენს რევოლიუციონერ დღეობას აპატიეთ... საეკლესიო დღესასწაულს ხომ არ ვსვამ და...

**2. მუშა.** ა? ეს კი მეტის მეტია? მოიტანეთ აქ გაქონილი ნიჩაბი!.

**დაჰკა.**

## ჩვენი ფოსტა

**ფასოს.** როგორც თქვენი ლექსიდან ჩანს, ზუგდიდის 9 წლედის მასწავლებელთა შორის ანტიფა იშვიათ ერთგულებას იჩენს—სმაში და ქეიფში... თქვენც ანტიფას უნდა უმადლოდეთ, რომ თქვენი ლექსის ეს სტრიქონები იბეჭდება ჩვენს ჟურნალში, თორემ მათ გოდორი იმსხვერპლებდა აუცილებლად:

გალეშილი, ბოთლით ხელში
დადის უდარდელად...
ყველას ვისაც ის შეხვდება
დააგინებს დედას...
მისგან ყველა სასადილო
არის სათარეშო...
დათვრება და გაიძახის:
„ვინო დაი ეშჩო“.
ამ შრომაში სკოლიდან ის
ორას მანეთს იღებს...

როგორც მისი ქეიფის ტემპიდან ჩანს, მას ძალიან მცირე ჯამაგირი ჰქონია... მით უმეტეს ღვინო ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაძვირდა... ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სკოლის გამგეს ამ გარემოებაზე მივუთითოთ. გარდა ამისა, მოქალაქე ანტიფა რატომ არის 9 წლედის მასწავლებლად ვერ გაგვიგია; განა უკეთესი არ იქნებოდა მისი გადაყვანა რომელიმე მეღვინეობის ტეხნიკუმში? ასეთ სასწავლებელში ანტიფას მოღვაწეობა ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნებოდა! ალბათ ზუგდიდის რაიაღმასკომის განათლების საქმის ხელმძღვანელები შესაფერ ზომებს მიიღებენ...

**ჯმუხიას.** ახალდაბის ხე-ტყის ქარხნის სამმართველოს მოხელეები თუ ყოველდღე იგვიანებენ სამსახურში, ადმინისტრაცია არაფერს წააგებს თვითეულ მათგანს ნიშადური ამოსცხოს.. თუ ამ ხერხმაც ვერ გასჭრა, მაშინ თვითონ ადმინისტრაციას მოუხდება ნიშადურის ამოცხება, რადგან ამ მოვლენას დღემდე ბოლო ვერ მოუღო.

**მქალს.** იწერებით: „სოფელ ატენის საჩვენებელი ვენახის გამგე ხვიმონ ბერიძე მრავალ უმსგავსოებას სჩადის. უხეშად ეპყრობა მუშებს, აკლებს ხელფასს და თუ ვინმემ გაბედა ხმის ამოღება სამუშაოდან ითხოვს“-ო.

მართლაც საჩვენებელი გამგე ჰყოლიათ.. ასეთ გამგეს მოუხდება შესაფერი ადგილი აჩვენოთ..

**ქიდანს.** თქვენ იწერებით, რომ კირბოულის კულტგანვითარებაზე არავინ ფიქრობს, კერძოთ კი ქოხ-სამკითხველო ვერ იქნა და ვერ ასწიეთ საჭირო სიმაღლეზე...

სხვა გზა არ დაგრჩენიათ—თვით ქოხ-სამკითხველოს გამგე უნდა ასწიოთ—სამკითხველოდან.

## წერილი ამხანაგს

გამარჯობა მუდამჟამს დაუვიწყარო შალვა ჯოგლიძე! მივიღე შენი წერილი, რომელმაც ძალიან გამახარა. მომილოცავს, რომ ამდენი კომბინაციები გიკეთებია და ასე შაქარივით შეგრჩენია.

ბიჭო, შე წყეულო, რაფერ მოახერხე ყალბი მოწმობების საშუალებით დაზღვევის ფულის აღება ჰა!

იწერები აღმასკომის მდივნობიდან მომხსნა გამწმენდ კომისიამ და კოოპერატივში მომაწყო ძმაბიჭებმაო.

აწი, რა გასაკვირია მაი, ვინც შენი „კვაჭობის“ ამბავი იცის?

აღმასკომში ყოფნის დროს მთელ შენს ჯამაგირს და ზოგს აღმასკომის ფულსაც ძმაბიჭებში ხარჯავდი და ამდენი პურმარილი უკვდავად როგორ ჩაგივლიდა!

ალბად აღმასკომის თავმჯდომარეც იმიტომ არაფერს ამბობს შენს მიერ გაფლანგულ ფულის შესახებ, რომ ერთად გექნებათ გაიმასპინძლებული...

ეხლა ორმაგი ჯამაგირი მაქვსო იწერები... ძველებურად არ დაზოგო პურმარილი და ძმაბიჭებისადმი ყურადღება, თვარა გამოგაცლიან ხალიჩას და დამრჩები ხახამშრალი...

**შენი ტიკჭორა ჭიკჭიკაშვილი.**

# ათას ცხრაას ოცდათერთმეტი წლის საჩუქარი




გვიღრენდა, გვემუქრებოდა
სისხლის ღვრითა და ომებით...
ბოლოს თვით დამბლა დაეცა
გული უსკდება ღონებით...

ლხინობენ სიხარულისგან
მისგან ნატანჯი მონები,
ღირსეულ კუბოს საჩუქრად
უძლვნიან თავმომწონებით!

სახელობის
ოთეკა-მუზეუმი
нотека-Музей